# Georgian Contemporary Art

თანამედროვე
ქართული

## *Σύγχρονη Τέχνη από τη Γεωργία*

ხელოვნება

Merab Abramishvili
Levan Margiani

5-15 June 2001 Cyprus

# Georgian Contemporary Art

თანამედროვე ქართული ხელოვნება

## *Σύγχρονη Τέχνη από τη Γεωργία*

## **Merab Abramishvili**
## **Levan Margiani**

5-15 June 2001
Nicosia, Cyprus
Hilton Cyprus

*5 - 15 Ιουνίου 2001*
*Λευκωσία, Κύπρος*
*Χίλτον Κύπρος*

# Merab Abramishvili



First-hand acquaintance with the paintings of Merab Abramishvili reaffirms the fact that the nature of a country's culture is determined by its geographic whereabouts, by the biocenosis in which the formation of people takes place.

Abramishvili's art reveals the strata of memory which are built into the consciousness of the Georgian people and which are connected with their ethnogenesis. The unique characteristics of the artist, instantly recognizable by his manner of painting, are a result of a familiarity with the cultural achievements of Mesopotamia, the Mediterranean countries, Asia Minor, the Near East, which he then renders anew in light of modern artistic trends. Georgians' attempt to define their identity as either Eastern or Western appears in the works of Abramishvili unconstrainedly but also as a natural mixture. The artist's supersensitivity displays the discord of elemental forces as well as the divine harmony of nature.

As soon as Merab Abramishvili entered the independent professional scene, he attracted everybody's attention with his

original artistic vision. In the works of Abramishvili two themes are sharply distinguished, which are revealed in artistic forms lit by a pagan sun and in eikonic faces illuminated by divine light. Though the archetypes of these works can be traced back hundreds of years, each work is the result of the artist's character, his way of life, his sphere of interests and his artistic laboratory.

In order to understand Abramishvili's artistic method the following question should be answered: What is the character of the truth he offers within a pictorial framework?

The artistic truth of Merab Abramishvili is ingenuous and candid, and is based on the notion that man is an inseparable part of a changeable universe. For those living in the 20th century and who feel unprotected and uncertain, it may even seem anachronistic to recall from their genetic memory those first days of the Creation when the first grass which had sprouted from the soil was warmed by the piercing sun, or a butterfly fluttering near this grass, or a reptile crawling on the ground - all of them felt safe and hopeful under the protection of the Creator (The Third Day of the Creation) and Adam and Eve, who had upset this harmony, were punished for their sin (Banishment from Eden). The artist knows very well that the atavistic experience of predatory instincts which are built into the beliefs of the animate nature, is part of the genetic code of human development (The Man-eating Tiger from Kumaon, The Fox, The Crocodile and The Black Panther).

Images, reproduced by Abramishvili with great plasticity are imbued with aesthetics conceived in the depths of the Georgian mythological consciousness (The Sun, The Sunflower, The Bison, The Deer).

In the works of Abramishvili oriental motifs appear not because the artist takes pleasure in exotic contemplation but because of

his care for the decorative comprehension of purely pictorial tasks. The contours of women's delicate bodies are reproduced by strongly accentuated motley spots, shift to a broken rhythm of flapping hems of unusually painted skirts and create a decorative-linear structure of picture planes (The Long Silk Road, The Harem, Pretty Woman).

Abramishvili uses an absolutely different approach when he interprets the principles of Christian iconography. While depicting religious parables in serial form, the artist looks for better ways to reproduce the secret thought concealed in iconographic faces and uses for this purpose dim and 'washed off' colors, clear compositional drawing and restrained dynamism (The Annunciation ,The Last Supper, The Crucifixion, The Holy Cross, Hell, Eden). These works, well placed within the canonical system, seem calm and balanced but they are charged with the divine energy irradiated by the Orthodox holy fathers painted on the walls of churches and cloisters, which are scattered about the plains and mountains of Georgia.

*Irine Abesadze*
*Art critic, D.Sc*

# მერაბ აბრამიშვილი

მხატვარ მერაბ აბრამიშვილის შემოქმედების ახლოს გაცნობა კიდევ ერთხელ ადასტურებს,თუ როგორ განსაზღვრავს ქვეყნის კულტურის ხასიათს მისი გეოგრაფიული მდებარეობა,ის ბიოცენოზი, რომელშიც ესა თუ ის ერი ჩამოყალიბდა.მერაბ აბრამიშვილის ხელოვნება ქართველი ერის ცნობიერებაში ჩაკირული მეხსიერების იმ შრეების სამზეოზე გამოტანაა,რომელიც ჩვენს ეთნოგენეზისს უკავშირდება.შუამდინარული თუ მედიტერანული,მცირე აზიისა და ახლო აღმოსავლეთის უძველესი კულტურული მონაპოვრების გათავისების და მათი თანამედროვე მხატვრულ საინფორმაციო ნაკადებთან შეჯერებისშედეგად გამოიკვეთა მკვეთრად ინდივიდუალური სახე მხატვრისა, რომლის ხელწერასაც სხვათაგან მყისვე გამოარჩევ. ქართველი კაცისათვის სამყაროს წვდომის მარადიული ალტერნატივა აღმოსავლურ-დასავლურისა მერაბ აბრამიშვილის ხელოვნებაში სრულიად ძალდაუტანებლად,ბუნებრივად შემოდის. მხატვრისეული აღქმის განსაკუთრებული ზემგრძნობელობა იშვიათი მუსიკალური სმენით დაჯილდოებული ადამიანის მსგავსად ბუნებაში გაფრენილ ღვთიურ ჰარმონიასთან ერთად სტიქიურ ძალთა ატონალურ ხმოვანებასაც შეიგრძნობს.

მერაბ აბრამიშვილის შემოქმედებაში მკვეთრად გამოირჩევა ორი თემა,წარმართული მზისმხურვალებით ნაფერ მხატვრულ ფორმებსა და ქრისტიანული ღვთაებრივი ნათლით განბანილ ეიკონურ სახეებში გამოვლენილი.მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ჯგუფში გაერთიანებულ ნაწარმოებებს თავიანთი არქეტიპები საუკუნეთა სიღრმეში მოეძებნებათ, თითოეული ნაწარმოების მისამართს მხატვრის ხასიათთან, მისი ცხოვრების წესთან, განსაზღვრულ ინტერესთა სფეროსთან  და ბოლოს, მის შემოქმედებით ლაბორატორიასთან მივყავართ.

მხატვრის შემოქმედებით მეთოდში გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, როგორია მის მიერ სასურათე სიბრტყეზე შემოთავაზებული სიმართლე.

მერაბ აბრამიშვილისეული მხატვრული სიმართლე უშუალოა და გულწრფელი.იგი იმ კანონზომიერებას ემყარება, ადამიანს ცვალებადი სამყაროს განუყრელ ნაწილად რომ წარმოიდგენს. დაუცველობის,

არასტაბილურობის განცდით შებყრობილ ოცდამეერთე საუკუნის მკვიდრს ანაქრონიზმადაც შეიძლება მოეჩვენოს. ჩვენს გენეტიკურ მეხსიერებაში ჩაძირული სამყაროს გაჩენის იმ პირველი დღეების გახსენება, როდესაც მზის მხურვალე სხივებით გამთბარი მიწიდან ამოღერილი პირველი ბალახი, მასთან ახლოს მოფარფატე მწერი, თუ მიწაზე გართხმული ქვეწარმავალი დამბადებლის კალთას ამოფარებულნი თავს მყარად და იმედიანად გრძნობენ ('მესამე დღე სამყაროს შექმნისა'), ამ ჰარმონიის დამრღვევ პირველ ადამიანებს-ადამსა და ევას კი,ჩადენილი ცოდვის საზღაურად სამაგიერო მიეზღოთ('სამოთხიდან განდევნა').მხატვარმა ისიც კარგად იცის,რომ გასულდგმულებული ბუნების რწმენაში ჩაკირული მტაცებლური ინსტინქტების ატავისტური განცდა კაცობრიობის განვითარების გენური კოდის თანამდევი მოვლენა გახლავთ('კუმაონელი კაციჭამია ვეფხვი','მელა','ნიანგი',"შავი პანტერა').

ეროვნული მითოსური აზროვნების წიაღში ჩასახული მზის ესთეტიკა მსჭავლავს მერაბ აბრამიშვილის ხილული სამყაროს ფორმათა პლასტიკურობის მალული შეგრძნებით გადმოცემულ მხატვრულ სახეებს('მზე', 'მზესუმზირა', 'ბიზონი', ირმები').

ორიენტალისტურ მოტივებს მერაბ აბრამიშვილის შემოქმედებაში ეგზოტიკური ხილვებით ტკბობა კი არ ბადებს ,არამედ წმინდა ფერწერული ამოცანების დეკორატიული გააზრებისადმი ინტერესი.მძლავრად აქცენტირებული ფერადოვანი ლაქებით გადმოცემული ქალთა ნებიერი სხეულების აბრისი, უცხოდ მოხატული სამოსის აფრიალებული კალთების ტეხილ რიტმში გადასული ქმნის სასურათე სიბრტყეთა დეკორატიულ-ხაზობრივ სტრუქტურას ('აბრეშუმის დიდი გზა','ქარამხანა','ლამაზმანი').

სრულიად განსხვავებული მიდგომით გამოირჩევა ქრისტიანული იკონოგრაფიული სქემების მხატვრისეული ინტერპრეტაცია. საღვთისმეტყველო სცენების სერიულობის პრინციპით გადაწყვეტისას,მერაბ აბრამიშვილი სხვადასხვა ფორმატის სასურათე სიბრტყეზე,დამცხრალი თუ 'ჩამორეცხილი' ფერთა პალიტრით, ცხადი, ნათელი კომპოზიციური ნახატით, თავშეკავებული დინამიზმით ეძებს იკონოგრაფიულ სახეებში დაფარული იდუმალი აზრის უკეთ გადმოცემის გზებს('ხარება', 'საიდუმლო სერობა','ჯვართამაღლება', 'სამოთხე', 'ჯოჯოხეთი').მხატვრის მიერ

გარკვეულ კანონიკურ სისტემაში მოქცეული გარეგნულად მშვიდი, გაწონასწორებული ეს ფერწერული ქმნილებები თითქოს ამავე ღვთაებრივი ენერგიით არიან დამუხტულნი, რომელსაც საქართველოს მთასა და ბარში მიმობნეული ეკლესიებისა და მონასტრების კედლებზე აღბეჭდილი მართმადიდებლური ქრისტიანობის მოდარაჯე წმინდა მამები გამოსცემენ.

*ხელოვნებათმცოდნე,*
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,*
*პროფესორი ირინე აბესაძე*